10389-15-5-2-201909231108

N 15-5/10389
23/09/2019

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ შალვა თადუმაძეს

წინადადება

ბ[redacted] რ[redacted] სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე ცეცხლსასროლი იარაღის სავარაუდო დაუდევრად შენახვისა და სავარაუდო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო შალვა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაზარალებულის უფლებამონაცვლის ი[redacted] რ[redacted] N9325/18 განცხადების საფუძველზე, ბ[redacted] რ[redacted] სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე წარმოებული სისხლის სამართლის N066261017001 (N1/9-18) საქმის[1] შესწავლის შედეგად იკვეთება სავარაუდო დანაშაულის ნიშნები.

ფაქტობრივი გარემოებები:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის განაჩენით, დ[redacted] ჯ[redacted] დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით: „2017 წლის 27 ოქტომბერს, დაახლოებით 13:30 საათზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფახულანში განთავსებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა მე-2 სამმართველოს N991 საგუშაგოს ტერიტორიაზე, აღნიშნული სამმართველოს სწრაფი რეაგირების მე-2 ასეულის მსროლელმა (ვადიანი სამხედრო მოსამსახურე) დ[redacted] ჯ[redacted] ზემოთ აღნიშნული სამმართველოს მოიერიშე ასეულის სნაიპერთა ოცეულის ჩ[redacted] [redacted] კ[redacted] სახელზე რიცხული „NH70688, HS 9" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან - პისტოლეტიდან გასროლით, გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე ამავე სამმართველოს სწრაფი რეაგირების მე-2 ასეულის

[1] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 12 ივლისის N513 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს წარედგინა სისხლის სამართლის N1/9-18 საქმის სრული მასალის ასლები.

მსროლელ (ვადიანი სამხედრო მოსამსახურე) ბ[redacted] რ[redacted]." პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით[2], საქმეზე გამოძიების ფარგლებში არ გამოვლენილა სამოხელეო დანაშაული ან/და ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის ფაქტები, შესაბამისად აღნიშნული საქმიდან ცალკე წარმოებად სხვა სისხლის სამართლის საქმე გამოყოფილი არ არის.

საქმის მასალების მიხედვით (წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებები უდავოდ იქნა ცნობილი და არსებითი განხილვის სხდომაზე მათი გამოკვლევა არ მომხდარა) ირკვევა:

ბ[redacted] რ[redacted] სიკვდილის მიზეზია[3] შინაგანი ორგანოების ზოგადი მწვავე სისხლნაკლებობა - ნიკაპის წინა ზედაპირზე მცირედ მარჯვნივ ცეცხლსასროლი ჭრილობით დაზიანებული მარცხენა შიგნითა საძილე არტერიიდან განვითარებული გარეგანი სისხლდენის შედეგად.

შემთხვევის ადგილის (წალენჯიხის რაიონის სოფ. ფახულანში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს N991 საგუშაგოს შენობა) დათვალიერებისას[4] საწოლის მე-2 სართულზე მოთავსებულ ქურთუკის ზედაპირზე აღმოჩენილი ცეცხლსასროლი იარაღის მასრა „9mm-12-CBC" ამოიღეს. შენობაში დადგმულ ორგანყოფილებიანი ხის კონსტრუქციის პირამიდაში (4 იარუსი) მოთავსებული იყო 4 ც. „M4" ტიპის ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი, 2 ც. სხვადასხვა ზომის ტყვიამფრქვევი, ტყვიამფრქვევების განყოფილების ზემო იარუსზე - პისტოლეტის ჩასადები ცარიელი ბუდე და ლითონის კონსტრუქციის ყუთი, რომელიც განკუთვნილია ტყვიამფრქვევის ტყვიებისთვის. დათვალიერების დროს გადაღებულ ფოტოებზე ფიქსირდება, რომ პირამიდას არ აქვს კარები და არ იკეტება.

დ[redacted] ჯ[redacted] (წვევამდელი) განმარტებით[5], პირამიდის (არ იკეტება) თაროზე იდო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, რომელსაც მორგებული ჰქონდა მჭიდი[6]. აღნიშნულ თაროზე სხვა დროსაც უნახავს დადებული პისტოლეტი. მან აიღო პისტოლეტი და ათვალიერებდა, რა დროსაც მისდაუნებურად გადატენა. დ[redacted] ხ[redacted] და ბ[redacted] რ[redacted] ოთახში შესვლა და გასროლა ერთმანეთს დაემთხვა; ვერ გააცნობიერა, როგორც გამოკრა თითი სასხლეტს. გასროლის შემდეგ პისტოლეტი საწოლზე დააგდო.

ა[redacted] კ[redacted] (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მე-2 სამმართველოს მოიერიშე მე-2 ასეულის სნაიპერთა ოცეულის ჩუბინი) განმარტებით[7], 2017 წლის 26 ოქტომბერს, საგუშაგო პოსტის ჩაბარებისთანავე სხვა სამხედრო მოსამსახურეების მსგავსად მასზე გაპიროვნებული სამსახურებრივი დანიშნულების ავტომატური

---

[2] საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 10 აგვისტოს N13/61470 წერილი.

[3] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 06 დეკემბრის სასამართლო-სამედიცნო ექსპერტიზის N006347217 დასკვნა.

[4] 2017 წლის 26 ოქტომბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი.

[5] 2017 წლის 26 ოქტომბრის გამოკითხვის ოქმი.

[6] საქმის მასალების მიხედვით, მჭიდში იდო 16 ტყვია, საიდანაც ერთის გასროლა მოხდა დ[redacted] ჯ[redacted] მიერ.

[7] 2017 წლის 26 ოქტომბრის გამოკითხვის ოქმები.

ცეცხლსასროლი იარაღი „M4“, სნაიპერული შაშხანა და ცეცხლსასროლი პისტოლეტი „HS9“ მოათავსა საძინებელ კონტეინერში მდებარე პირამიდაში (იარაღების შესანახი კარადა), რომელსაც არ გააჩნია კარი და არ იკეტება. პირამიდაში მასზე გაპიროვნებული იარაღების გარდა მოთავსებული იყო საგუშაგოს უფროსის და სხვა ჯარისკაცების სამსახურებრივი დანიშნულების იარაღები. პისტოლეტს არ ეკეთა მჭიდი, მჭიდი (16 ვაზნით) მოათავსა პირამიდაში ცალკე პისტოლეტის გვერდით. აღნიშნული საიარაღო ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვინც იმყოფება კუნგში. საიარაღოში იარაღებს ინახავდნენ განმუხტულ მდგომაროებაში, მჭიდის გარეშე. ამ დროსაც ყველა იარაღი, რომელიც იყო პირამიდაში, იყო განმუხტული მჭიდის გარეშე. შენობიდან გარეთ ყოფნისას გაიგო გასროლის ხმა და კუნგში შესულმა დაინახა დაჭრილი ბ[redacted] რ[redacted]; ასევე, მასზე გაპიროვნებული პისტოლეტი პირამიდაში არ იყო, არამედ იდო მისთვის განკუთვნილ საწოლზე, რის შემდეგაც საწოლიდან აიღო პისტოლეტი, რომელსაც ეკეთა მჭიდი და განმუხტა იარაღი.

გამოკითხვის დასრულებისთანავე ა[redacted] კ[redacted] ამოღებული იქნა პისტოლეტი „HS9 NH70688“ და მჭიდი 15 ვაზნით[8]. „H70688“ იარაღი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას, ტექნიკურად გამართულია და ვარგისია გამოყენებისთვის (სროლისთვის); იარაღიდან ნაწარმოებია გასროლა (გასროლები) ბოლო გაწმენდის შემდეგ; შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული 1 ც. მასრა (9 mm 12 CBC) წარმოადგენს საბრძოლო მასალათა კატეგორიაში შემავალ 1908 წლის ნიმუშის 9 მმ. კალიბრის „ლუგერის“ ვაზნის შემადგენელ კომპონენტს - მასრას, რომელიც ნასროლია გამოსაკვლევად წარმოდგენილ, „HS-9” მოდელის „H70688“ პისტოლეტში.[9]

ბ[redacted] კ[redacted] (წვევამდელი) განმარტებით[10], მოსასვენებელ ჯიხურში არსებულ პირამიდაში მოთავსებული იყო სამორიგეო ჯგუფზე გაპიროვნებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები და ტყვიამფრქვევები, პირამიდის ჩარჩოზე იდო სერჟანტ კ[redacted] კუთვნილი პისტოლეტი. საგუშაგოს მეთაური და სერჟანტი მათზე გაპიროვნებულ ცეცხლსასროლ იარაღებს და პისტოლეტებს ტოვებენ და ინახავენ სპეციალურად გამოყოფილი იარაღების ჩასაწყობ ე.წ. პირამიდაში, რომელსაც არ გააჩნია კარები და არის ღია მდგომარეობაში. მასში მოთავსებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები არის განმუხტული და მჭიდის გარეშე, რაც შეეხება პისტოლეტებს არის განმუხტული და მჭიდები აქვს ადგილზე. ჯიხურში დ[redacted] ხ[redacted] და ბ[redacted] რ[redacted] შესვლიდან რამდენიმე წამში დაინახა დ[redacted] ჯ[redacted] მიბრუნება და გაიგო გასროლის ხმა, შემდეგ - შესასვლელ კარებთან მიყრდნობილი ბ[redacted] რ[redacted], რომელთან მისვლისას, ნახა, რომ დაჭრილი იყო.

დ[redacted] ხ[redacted] (რიგითი) განმარტებით[11], იარაღების შესანახი ღია კარადაში ე.წ. პირამიდაში იარაღი ღია მდგომარეობაში ინახება, კარადას არ აქვს დასაკეტი კარები. ის და ბ[redacted] რ[redacted] შევიდნენ მოსასვენებელ ყაზარმაში. დ[redacted] ჯ[redacted] ხელში ეჭირა პისტოლეტი. გაისმა

---

[8] 2017 წლის 26 ოქტომბრის ამოღების ოქმი.

[9] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 26 დეკემბრის ბალისტიკური ექსპერტიზის N007562317 დასკვნა.

[10] 2017 წლის 26 ოქტომბრის გამოკითხვის ოქმი.

[11] 2017 წლის 26 ოქტომბრის გამოკითხვი ოქმი.

გასროლის ხმა და დაინახა დაჭრილი ბ[redacted] რ[redacted]. დ[redacted] ჯ[redacted] გაშეშებული იდგა და ხელში ეჭირა პისტოლეტი.

ბ[redacted] გ[redacted] (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს სწრაფი რეაგირების მე-2 ასეულის ოცეულის მეთაური) განმარტებით[12], საგუშაგოზე იარაღი (საიარაღოში გააჩნიათ 2 ერთეული ცეცხლსასროლი პისტოლეტი „HS9" (ერთი მასზეა გაპიროვნებული, მეორე - ა[redacted] ვ[redacted]), 6 ერთეული „M4" სისტემის ცეცხლსასროლი ავტომატი, 1 ერთეული „ერპეკა 74" სისტემის ხელის ტყვიამფრქვევი და 1 ერთეული „პეკა" სისტემის ტყვიამფრქვევი) ინახება საამისოდ განკუთვნილ პირამიდაში, რომელსაც არ გააჩნია კარი ან რაიმე სხვა ჩამკეტი საშუალება, არის ღია და მასში მოთავსებულ იარაღზე ფიზიკურად ყველას მიუწვდება ხელი. მასზე გაპიროვნებულ პისტოლეტს თან ატარებს, თუმცა მისი თანამშრომლები საგუშაგოზე ყოფნის პერიოდში პირამიდას ხშირად იყენებდნენ პისტოლეტების შესანახადაც. საგუშაგოს უფროსის ან/და თანაშემწის ნებართვის გარეშე ახალწვეულებს ეკრძალებათ ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღის ხელში აღება. მათ იარაღთან შეხება უწევთ მხოლოდ საგუშაგოზე გასვლისას და ასევე სროლებში წვრთნებისას. პისტოლეტი გასროლამდე დაახლოებით 15-20 წუთით ადრე კუნგში ყოფნისას შენიშნა მოთავსებული იყო პირამიდის თაროზე და მის გვერდით იდო მჭიდი.

ვ[redacted] ს[redacted] (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მე-2 სამმართველოს უფროსი) განმარტებით[13], N991/1 საგუშაგო მდებარეობს სოფ. ფახულანში, ადმინისტრაციულ საზღვართან. საგუშაგოზე არის მოსამსახურეთა საცხოვრებელი ოთახი და ამავე ოთახში არის იარაღის შესანახი ე.წ. პირამიდა, რომელიც არის ღია კარადის მაგვარი ნაკეთობა, რომელსაც არ აქვს კარი. იმის გამო, რომ აღნიშნული საგუშაგო ფაქტობრივად წარმოადგენს საბრძოლო პოზიციას, სადაც საშტატო იარაღი ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აღნიშნულ პირამიდაში ინახება საგუშაგოზე მყოფ პირად შემადგენლობაზე გაპიროვნებული იარაღი, მათ შორის, ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნი და პისტოლეტები. თითოეული იარაღი შესაბამისი ბრძანებით არის გაპიროვნებული კონკრეტულ მოსამსახურეზე და ის არის პასუხისმგებელი მასზე. სხვა მოსამსახურეს არ აქვს უფლება აიღოს მეორე მოსამსახურეზე გაპიროვნებული იარაღი.

ინსპექტორ-გამომძიებლებმა: ი[redacted] ქ[redacted], გ[redacted] ა[redacted], ექსპერტებმა: ი[redacted] ჯ[redacted] და ლ[redacted] ჟ[redacted] გამოკითხვისას[14] დაადასტურეს, რომ მათ მათი მიერ/მონაწილეობით ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ჯარისკაცებისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ჯიხურში ღია პირამიდაში განთავსებული იყო ცეცხლსასროლი იარაღები.

ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები არ შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N995 ბრძანებით დამტკიცებულ მოსამსახურის განმარტებაში ისინი არ გადიან

---

[12] 2017 წლის 27 ოქტომბრის გამ,ოკითხვის ოქმი.
[13] 2017 წლის 27 ოქტომბრის გამოკითხვის ოქმი.
[14] 2017 წლის 21 ნოემბრის გამოკითხვის ოქმები.

საცეცხლე მომზადების კურსს და მათზე არ გაიცემა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების, ტარების და შენახვის წესების დამადასტურებელი დოკუმენტები.[15]

სამართლებრივი დასაბუთება:

მოგეხსენებათ, რომ იარაღის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.[16]

სამსახურებრივ-საშტატოა იარაღი, რომლის ტარების უფლება აქვთ კანონით განსაზღვრულ პირებს მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.[17] სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს[18], მათ შორის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მოსამსახურეებს.[19] სამსახურებრივ-საშტატო იარაღი აღნიშნულ პირებს გადაეცემათ სარგებლობაში, ტარების უფლებით.[20] მოსამსახურეს, სამინისტროს სისტემაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი მუდმივი ტარების უფლებით გადაეცემა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.[21]

იარაღის მესაკუთრე[22] ვალდებულია[23]: უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა; დაიცვას იარაღის შენახვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. იარაღით მოსარგებლეს[24] უფლება[25] აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეინახოს და ატაროს იარაღი და ვალდებულია[26]: დაიცვას იარაღის ბრუნვის[27] წესები; უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა.

---

[15] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 08 ნოემბრის NMIA61702698891 წერილი.

[16] „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლი.

[17] „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

[18] "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[19] „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის N242 დადგენილების მე-2 მუხლის მე-14 პუნქტი.

[20] „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

[21] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[22] პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს იარაღის ფლობის, განკარგვისა და იარაღით სარგებლობის უფლება. „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ფ" ქვეპუნქტი.

[23] „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" და „თ" ქვეპუნქტები.

[24] პირი, რომელსაც იარაღი გადაცემული აქვს დროებითი სარგებლობისათვის, სამსახურებრივ მოვალეობათა შესასრულებლად. „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ქ" ქვეპუნქტი.

[25] „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[26] „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები.

[27] იარაღის ბრუნვა არის იარაღით ვაჭრობა, იარაღის აღრიცხვა, რეგისტრაცია, დამზადება, წარმოება, შეკეთება (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით), შეძენა, შენახვა, ტარება, გამოყენება, გადატანა-გადაზიდვა, გადაგზავნა, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, ამოღება, ჩამოწერა, განადგურება, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება, დროებითი შემოტანა ან/და გატანა, კოლექციონირება და ექსპონირება, საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა, ბალისტიკური შემოწმება, ტყვია-მასროთეკის წარმოება. „იარაღის შესახებ" საქათველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ" ქვეპუნქტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იარაღი და საბრძოლო მასალა ინახება ამ უწყების ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.[28] პოლიციელის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს ადგენს მინისტრი.[29] სამინისტროს სისტემაში იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა ინახება კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანებით დადგენილი წესით.[30]

სამინისტროს სისტემაში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის შესანახად გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური საწყობები, რომლებიც აკმაყოფილებენ შენახვისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.[31] სასაწყობო სათავსოების ფანჯრები და სავენტილაციო ღიობები აღჭურვილი უნდა იქნეს ძლიერი საკეტებით და ლითონის გისოსებით; საიარაღო ოთახი (სამორიგეო) საწყობის სათავსოები მოწყობილი უნდა იქნეს იარაღის შესანახი პირამიდებით, თაროებითა და კარადებით.[32] საწყობში (საიარაღო ოთახი) იარაღი ინახება განმუხტულ მდგომარეობაში, ცალკეული სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით.[33] იარაღისა და საბრძოლო მასალის საწყობი და საიარაღო ოთახი ბლოკირებული უნდა იყოს სიგნალიზაციით, რომლის გამართული მუშაობა მოწმდება ყოველდღიურად საწყობის უფროსის მიერ, აგრეთვე ოპერატიული მორიგის მიერ მორიგეობის მიღებისას (ჩაბარებისას). საწყობები ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადღეღამისო შეიარაღებული დაცვით.[34]

სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის საწყობის და ლითონის კარადების გასაღებების ორიგინალები ინახება მცირე ზომის სპეციალურ ყუთში, დალუქულ მდგომარეობაში. კატეგორიულად იკრძალება გასაღებების გადაცემა საწყობის უფროსის ან/და შეიარაღებაზე პასუხისმგებელი პირის გარდა. გასაღებების ჩაბარების დროის შესახებ შესაბამისი აღნიშვნა კეთდება გასაღების მიღება-ჩაბარების ჟურნალში. ბეჭედი (პირადი ლუქი) რჩება საწყობის უფროსთან ან/და შეიარაღებაზე პასუხისმგებელ პირთან.[35] მცირე ზომის სპეციალურ ყუთში (დალუქულ მდგომარეობაში) მოთავსებული იარაღის, საბრძოლო მასალის და აღჭურვილობის საწყობის და ლითონის კარადების გასაღებების მეორე ეგზემპლარები მუდმივად ინახება სამინისტროს ადმინისტრაციის საკოორდინაციო საქმეთა სამმართველოს ოპერატიულ–

---

[28] „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

[29] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[30] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 44-ე მუხლი.

[31] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[32] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[33] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[34] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[35] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვის
ა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 49-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სამორიგეო სამსახურში. გასაღების დაკარგვისას საკეტები იცვლება დაუყოვნებლივ.[36] განსაკუთრებულ შემთხვევაში საწყობისა და საიარაღო ოთახის კარების გახსნა დასაშვებია კომისიური წესით შეიარაღების სამმართველოს უფროსის (მოადგილე) თანხმობით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სათადარიგო გასაღებების (ორიგინალი) საშუალებით, რის შესახებაც დგება სათანადო აქტი შესაბამისი ხელმოწერებით.[37] ანალოგიური წესია განსაზღვრული სამინისტროს ტერიტორიულ დანაყოფებში იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის საწყობის, საიარაღო ოთახისა და მათში განთავსებული სეიფების და ლითონის კარადების გასაღებების შენახვისთვის.[38] დანაყოფების მათ შორის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის[39], ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ დაქვემდებარებულ დანაყოფებში იარაღისა და საბრძოლო მასალის ბრუნვაზე კონტროლი[40].

საქმის მასალების მიხედვით, შემთხვევის ადგილი წარმოადგენს საგუშაგოს, სადაც ცეცხლსასროლი იარაღი ღია კარადაში (პირამიდაში) ინახება. საგუშაგო არის ყველაფერი ის, რაც ჩაბარებული აქვს გუშაგს დასაცავად და აგრეთვე - ადგილი ან უბანი, რომლის ფარგლებშიც ის თავის მოვალეობებს ასრულებს.[41] ყარაულის პირადი შემადგენლობის საერთო ოთახში უნდა იყოს: პირამიდა იარაღისათვის[42]; ყარაულის უფროსის ოთახში უნდა იყოს: თანამდებობის პირთა სია, რომელთაც უფლება აქვთ საცავები (საწყობები, პარკები და სხვ.) გახსნან ან ყარაულებისაგან მიიღონ; კლიტეებიანი და გასაღებებიანი რკინის ან რკინით შემოჭედილ ყუთებში საბრძოლო მარაგის დადგენილი მარაგი[43].

ავტომატები და ტყვიამფრქვევები ინახება პირამიდაში სავაზნე კოლოფის გარეშე, საკეტით წინა მდგომარეობაში. კარაბინები პირამიდაში იდგმება დაუტენლად, დაკეტილი საკეტებითა და ჩამოშვებული ჩახმახებით. ტყვიამფრქვევების სავაზნე კოლოფები ინახება პირამიდის კლიტით დაკეტილ სპეციალურ ყუთში, რომლის გასაღები ინახება ყარაულის უფროსთან. იარაღის შესანახი პირამიდა უნდა იყოს დაკეტილი კლიტით, ხოლო გასაღები ინახებოდეს ყარაულის უფროსთან.[44] პირამიდიდან იარაღს მხოლოდ ყარაულის უფროსის ან მისი თანაშემწის ნებართვით იღებენ.[45]

---

[36] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[37] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[38] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 50-ე მუხლი.

[39] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დანაყოფს წარმოადგენს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი.

[40] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანების 27-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

[41] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების მე-20 მუხლი.

[42] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების N4 დანართის მე-2 მუხლის „ნ" ქვეპუნქტი.

[43] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების N4 დანართის მე-3 მუხლის „თ" და „კ" ქვეპუნქტები.

[44] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების 181-ე მუხლი.

საყარაულო შენობებისა და საგუშაგოების უზრუნველყოფა სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, აგრეთვე შემოღობვა, დასაცავი ობიექტების დაცვა და არსებული წესდებით გათვალისწინებული ინვენტარით მოწყობა ევალება სამხედრო ობიექტის უფროსს (სამხედრო ნაწილის მეთაურს).[46] ყარაულის უფროსი პასუხს აგებს საბრძოლო ვაზნებისა და იარაღის შენახვისათვის.[47] ყარაულის უფროსი პასუხს აგებს ყარაულისათვის ჩაბარებული ობიექტების დაცვისა და თავდაცვის, მოწყობილობისა და აპარატურის, საყარაულო შენობის, საგუშაგოზე ხანძარსაწინააღმდეგო, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის საშუალებების, ასევე საყარაულო შენობაში აღწერის მიხედვით ჩაბარებული საბრძოლო მასალებისა და სხვა ქონებისათვის.[48]

სასამართლოს განაჩენით დადგენილია, რომ ბ[redacted] რ[redacted] სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა განხორციელდა წვევამდელის მიერ სერჟანტის სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად. საქმის მასალების მიხედვით, აღნიშნული იარაღი განთავსებული იყო ღია კარადაში, სადაც, ასევე, ინახება სხვა ცეცხლსასროლი იარაღებიც. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი პირს გადაეცემა პირადი პასუხისმგებლობით, იარაღის შენახვა კი უნდა განხორციელდეს სპეციალურ საცავში, რომლის კარი იკეტება გასაღებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფის ხელმძღვანელი პასუხიმგებელია იარაღის შენახვაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს სამსახურებრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია; ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით - იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის N066261017001 საქმის მასალების მიხედვით, გამოძიება წარიმართა მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის უშუალოდ განმახორციელებელი პირის მიერ ბ[redacted] რ[redacted] სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე, ხოლო მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საქმის მასალებით იკვეთებოდა ცეცხლსასროლი იარაღის სავარაუდოდ დაუდევრად შენახვისა და სავარაუდო სამსახურებრივი გულგრილობის ნიშნები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე და 342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის

---

[45] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების 183-ე მული.

[46] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების 47-ე მუხლი.

[47] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების 76-ე მუხლი.

[48] „საქართველოს შეიარაღებული ძალების საყარაულო წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 18 ივნისის N310 ბრძანებულების 72-ე მუხლი.

ფაქტებზე გამოძიება არ ჩატარებულა. მითუმეტეს, ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მართლწინააღმდეგობის[49] ან ბრალის[50] გამომრიცხავი გარემოებების არსებობა არ დგინდება და არც მოცემული საკითხის შესწავლა დასტურდება გამოძიების პროცესში.

დასკვნა:

მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის მესაკუთრის მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის სავარაუდო დაუდევრად შენახვის ფაქტს, რამაც ბ[redacted] რ[redacted] სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა გამოიწვია და სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის ან/და საგუშაგოს ხელმძღვანელი პირის/პირების მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტს საგუშაგოზე ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების დარღვევის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით დაიწყოთ და ჩაატაროთ გამოძიება ხსენებულ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

[49] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-32 მუხლები.
[50] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-38 მუხლები.